ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2016 წლის 6 აპრილი

ქ. თელავი

## ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 დეკემბრის №52 დადგენილებაში „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 დეკემბრის №52 დადგენილებაში „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 04/01/2016, 190020020.35.176.016111).**

1. დადგენილების I, II და III თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8 872,1 | 10 473,4 | 1 570,4 | 8 902,9 | 11 077,3 | 1 671,4 | 9 405,9 |
| გადასახადები | 834,6 | 817,9 | 0,0 | 817,9 | 2 300,0 | 0,0 | 2 300,0 |
| გრანტები | 7 232,2 | 8 794,1 | 1 570,4 | 7 223,7 | 8 113,8 | 1 671,4 | 6 442,4 |
| სხვა შემოსავლები | 805,2 | 861,3 | 0,0 | 861,3 | 663,5 | 0,0 | 663,5 |
| | | | | | | | |
| ხარჯები | 6 383,9 | 7 504,0 | 300,0 | 7 204,0 | 8 426,4 | 0,0 | 8 426,4 |
| შრომის ანაზღაურება | 1 210,9 | 1 309,4 | 0,0 | 1 309,4 | 1 464,9 | 0,0 | 1 464,9 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქონელი და მომსახურება | 1 858,6 | 1 807,3 | 0,0 | 1 807,3 | 2 481,6 | 0,0 | 2 481,6 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 279,3 | 144,8 | 0,0 | 144,8 | 123,7 | 0,0 | 123,7 |
| სუბსიდიები | 2 365,1 | 2 683,5 | 0,0 | 2 683,5 | 3 381,5 | 0,0 | 3 381,5 |
| გრანტები | 0,0 | 1 073,2 | 300,0 | 773,2 | 221,5 | 0,0 | 221,5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 648,5 | 369,6 | 0,0 | 369,6 | 510,5 | 0,0 | 510,5 |
| სხვა ხარჯები | 21,5 | 116,1 | 0,0 | 116,1 | 242,8 | 0,0 | 242,8 |
| | | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 2 488,2 | 2 969,41 | 1 270,45 | 1 698,97 | 2 650,9 | 1 671,4 | 979,5 |
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 075,4 | 2 451,52 | 1 389,76 | 1 061,76 | 3 673,5 | 1 859,1 | 1 814,4 |
| ზრდა | 2 189,9 | 2 521,8 | 1 389,8 | 1 132,1 | 3 761,8 | 1 859,1 | 1 902,7 |
| კლება | 114,5 | 70,30 | 0,0 | 70,3 | 88,3 | 0,0 | 88,3 |
| | | | | | | | |
| მთლიანი სალდო | 412,8 | 517,89 | -119,32 | 637,21 | -1 022,6 | -187,7 | -834,9 |
| | | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 143,5 | 351,5 | -119,3 | 470,9 | -1 222,9 | -187,7 | -1 035,2 |
| ზრდა | 297,0 | 470,86 | 0,00 | 470,86 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 297,0 | 470,86 | | 470,86 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინსტრუმენტები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 153,5 | 119,32 | 119,32 | 0,00 | 1 222,9 | 187,7 | 1 035,2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 153,52 | 119,32 | 119,32 | | 1 222,9 | 187,7 | 1 035,2 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | -269,26 | -166,4 | 0,0 | -166,4 | -200,3 | 0,0 | -200,3 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 269,3 | 166,36 | 0,0 | 166,36 | 200,3 | 0,0 | 200,3 |
| საგარეო | 269,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 166,36 | 0,0 | 166,4 | 200,3 | 0,0 | 200,3 |
| | | | | | | | |
| ბალანსი | 0,0 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

### მუხლი 2. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| | | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|---|

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2014 წლის ფაქტი | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **8 986,55** | **10 543,67** | **1 570,45** | **8 973,23** | **11 165,60** | **1 671,38** | **9 494,22** |
| შემოსავლები | 8 872,07 | 10 473,38 | 1 570,45 | 8 902,93 | 11 077,30 | 1 671,38 | 9 405,92 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 114,48 | 70,30 | 0,00 | 70,30 | 88,30 | 0,00 | 88,30 |
| **გადასახდელები** | **8 573,77** | **10 025,78** | **1 689,76** | **8 336,02** | **12 188,21** | **1 859,05** | **10 329,16** |
| ხარჯები | 6 383,89 | 7 503,96 | 300,00 | 7 203,96 | 8 426,44 | 0,00 | 8 426,44 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 189,88 | 2 521,82 | 1 389,76 | 1 132,05 | 3 761,77 | 1 859,05 | 1 902,72 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| **ვალდებულებების კლება** | **269,26** | **166,36** | **0,00** | **166,36** | **200,31** | **0,00** | **200,31** |
| **ნაშთის ცვლილება** | **143,52** | **351,54** | **-119,32** | **470,86** | **-1 222,92** | **-187,68** | **-1 035,25** |

## მუხლი 3. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11077,3 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8,872.07 | 10,473.38 | 1,570.45 | 8,902.93 | 11,077.30 | 1,671.4 | 9,405.9 |
| შემოსავლები | 8,872.07 | 10,473.38 | 1,570.45 | 8,902.93 | 11,077.3 | 1,671.4 | 9,405.9 |
| გადასახადები | 834.62 | 817.93 | 0.00 | 817.93 | 2,300.0 | 0.0 | 2,300.0 |
| გრანტები | 7,232.23 | 8,794.15 | 1,570.45 | 7,223.70 | 8,113.8 | 1,671.4 | 6,442.4 |
| სხვა შემოსავლები | 805.21 | 861.30 | 0.00 | 861.30 | 663.5 | 0.0 | 663.5 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## მუხლი 4. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2300,0 ათასი ლარის ოდენობით:

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| გადასახადები | 834.6 | 817.93 | 2 300,0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0,0 | 0,0 | 1 700,0 |
| ქონების გადასახადი | 834.6 | 817.93 | 600,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 329.4 | 440.48 | 330,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 28.7 | 31.87 | 20,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 102.6 | 43.38 | 0,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 373.9 | 302.05 | 250,0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0.1 | 0.0 | 0,0 |

## მუხლი 5. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8113,8 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 7,232.2 | 8,794.15 | 1,570.45 | 7,223.70 | 8,113.8 | 1,671.4 | 6,442.4 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 7,232.2 | 8,794.15 | 1,570.45 | 7,223.70 | 8,113.8 | 1,671.4 | 6,442.4 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 4,948.0 | 7,223.70 | 0.00 | 7,223.70 | 6,442.4 | 0.0 | 6,442.4 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 4,806.3 | 7,061.70 | 0.00 | 7,061.70 | 6,280.4 | 0.00 | 6,280.4 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 141.7 | 162.00 | 0.00 | 162.00 | 162.0 | 0.00 | 162.0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | 2,284.3 | 1,570.45 | 1,570.45 | 0.00 | 1,671.4 | 1,671.4 | 0.0 |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 1,984.3 | 1,570.45 | 1,570.45 | 0.00 | 1,671.4 | 1,671.4 | 0.0 |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი | 300.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

## მუხლი 6. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 663,5 ათასი ლარის ოდენობით:

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | 805.2 | 861.30 | 663.5 |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | 140.2 | 181.12 | 100,0 |
| **პროცენტები** | 108.5 | 117.38 | 50,0 |
| **დივიდენდები** | -1.1 | 0.00 | 0,0 |
| **რენტა** | 32.8 | 63.75 | 50,0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 13.7 | 5.90 | 0,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 19.1 | 57.85 | 50,0 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | 429.1 | 379.37 | 350.52 |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | 415.3 | 363.25 | 333.32 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 20.1 | 14.73 | 13.0 |
| სახელმწიფო ბაჟი | 0.0 | 0,0 | 0.1 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.0 | 0,0 | 0.05 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსაკრებელი | 1.8 | 1.40 | 1.4 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 318.7 | 244.23 | 203.77 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 74.8 | 102.90 | 115.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 13.7 | 16.12 | 17.2 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 13.7 | 16.12 | 17.2 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 231.4 | 298.78 | 210.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 4.6 | 2.04 | 3.0 |

## მუხლი 7. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8426,4 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 6,383.9 | 7,503.96 | 300.00 | 7,203.96 | 8 426,4 | 0,0 | 8 426,4 |
| შრომის ანაზღაურება | 1,210.9 | 1,309.41 | 0.00 | 1,309.41 | 1 464,9 | 0,0 | 1 464,9 |
| საქონელი და მომსახურება | 1,858.6 | 1,807.33 | 0.00 | 1,807.33 | 2 481,6 | 0,0 | 2 481,6 |
| პროცენტი | 279.3 | 144.76 | 0.00 | 144.76 | 123,7 | 0,0 | 123,7 |
| სუბსიდიები | 2,365.1 | 2,683.55 | 0.00 | 2,683.55 | 3 381,5 | 0,0 | 3 381,5 |
| გრანტები | 0.0 | 1,073.24 | 300.00 | 773.24 | 221,5 | 0,0 | 221,5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 648.5 | 369.58 | 0.00 | 369.58 | 510,5 | 0,0 | 510,5 |
| სხვა ხარჯები | 21.5 | 116.10 | 0.00 | 116.10 | 242,8 | 0,0 | 242,8 |

## მუხლი 8. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3673,47 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3761,77 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 14.1 | 213.4 | 0.0 | 213.4 | 269,37 | 0,00 | 269,37 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 100.0 | 3.1 | 0.0 | 3.1 | 102,10 | 0,00 | 102,10 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 2115.23 | 1256.83 | 639.66 | 617.18 | 2441.76 | 1671.38 | 770.38 |
| 04 00 | განათლება | 41.8 | 806.16 | 750.11 | 56.05 | 496,58 | 187,68 | 308,90 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 18.76 | 227.53 | 0.00 | 227.53 | 406,97 | 0,00 | 406,97 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 45,00 | 0,00 | 45,00 |
| სულ ჯამი | | 2289.88 | 2521.82 | 1389.76 | 1132.05 | 3761,77 | 1859,05 | 1902,72 |

ბ) განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 88,3 ათასი ლარის ოდენობით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 114.5 | 70.30 | 88,30 |
| ძირითადი აქტივები | 22.5 | 8.81 | 42,30 |
| არაწარმოებული აქტივები | 92.0 | 61.49 | 46,00 |
| მიწა | 92.0 | 61.49 | 46,00 |

## მუხლი 9. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 762,6 | 2 041,49 | 0,00 | 2 041,49 | 2 404,40 | 0,00 | 2 404,40 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 459,4 | 1 891,42 | 0,00 | 1 891,42 | 2 280,74 | 0,00 | 2 280,74 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 444,8 | 1 891,42 | 0,00 | 1 891,42 | 2 221,19 | 0,00 | 2 221,19 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 14,6 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 59,54 | 0,00 | 59,54 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 3,9 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 3,9 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 299,3 | 150,07 | 0,00 | 150,07 | 123,66 | 0,00 | 123,66 |
| 702 | თავდაცვა | 58,8 | 77,36 | 0,00 | 77,36 | 85,00 | 0,00 | 85,00 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 644,5 | 585,61 | 0,00 | 585,61 | 100,00 | 0,00 | 100,00 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 644,5 | 585,61 | 0,00 | 585,61 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 7036 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 100,00 | 0,00 | 100,00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში | | | | | | | |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 2 289,7 | 1 372,94 | 632,66 | 740,28 | 2 827,76 | 1 671,38 | 1 156,38 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 0,0 | 64,65 | 0,00 | 64,65 | 130,00 | 0,00 | 130,00 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 0,0 | 64,65 | 0,00 | 64,65 | 130,00 | 0,00 | 130,00 |
| 7045 | ტრანსპორტი | 2 283,9 | 1 308,29 | 632,66 | 675,63 | 2 697,76 | 1 671,38 | 1 026,38 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2 283,9 | 1 308,29 | 632,66 | 675,63 | 2 697,76 | 1 671,38 | 1 026,38 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 5,8 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 705 | გარემოს დაცვა | 525,2 | 717,67 | 6,99 | 710,68 | 717,12 | 0,00 | 717,12 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 469,1 | 618,83 | 0,00 | 618,83 | 580,00 | 0,00 | 580,00 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 30,6 | 54,71 | 6,99 | 47,72 | 120,00 | 0,00 | 120,00 |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 25,5 | 44,13 | 0,00 | 44,13 | 17,12 | 0,00 | 17,12 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 403,43 | 545,13 | 0,00 | 545,13 | 849,19 | 0,00 | 849,19 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 33,5 | 87,96 | 0,00 | 87,96 | 148,26 | 0,00 | 148,26 |
| 7063 | წყალმომარაგება | 0,0 | 1,5 | 0,0 | 1,5 | 6,00 | 0,00 | 6,00 |
| 7064 | გარე განათება | 324,1 | 385,92 | 0,00 | 385,92 | 498,35 | 0,00 | 498,35 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 45,8 | 69,78 | 0,00 | 69,78 | 196,58 | 0,00 | 196,58 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 80,0 | 94,69 | 0,00 | 94,69 | 130,00 | 0,00 | 130,00 |
| | საზოგადოებრივი | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7074 | ჯანდაცვის მომსახურება | 80,0 | 94,69 | 0,00 | 94,69 | 130,00 | 0,00 | 130,00 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1 361,7 | 2 130,94 | 300,00 | 1 830,94 | 2 499,32 | 0,00 | 2 499,32 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 418,3 | 794,74 | 0,00 | 794,74 | 1 203,58 | 0,00 | 1 203,58 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 866,8 | 1 232,31 | 300,00 | 932,31 | 1 217,53 | 0,00 | 1 217,53 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 16,0 | 35,80 | 0,00 | 35,80 | 19,50 | 0,00 | 19,50 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 30,6 | 38,09 | 0,00 | 38,09 | 28,72 | 0,00 | 28,72 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 30,0 | 30,00 | 0,00 | 30,00 | 30,00 | 0,00 | 30,00 |
| 709 | განათლება | 1 085,3 | 1 877,57 | 750,11 | 1 127,46 | 1 840,58 | 187,68 | 1 652,90 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1 015,3 | 1 807,57 | 750,11 | 1 057,46 | 1 758,58 | 187,68 | 1 570,90 |
| 7093 | პროფესიული განათლება | 70,0 | 70,00 | 0,00 | 70,00 | 82,00 | 0,00 | 82,00 |
| 710 | სოციალური დაცვა | 362,5 | 582,37 | 0,00 | 582,37 | 734,85 | 0,00 | 734,85 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 15,10 | 0,00 | 15,10 | 6,00 | 0,00 | 6,00 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 0 | 6,10 | 0,00 | 6,10 | 5,00 | 0,00 | 5,00 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 9,00 | 0,00 | 9,00 | 1,00 | 0,00 | 1,00 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 1,2 | 3,60 | 0,00 | 3,60 | 4,80 | 0,00 | 4,80 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 55,7 | 29,48 | 0,00 | 29,48 | 70,00 | 0,00 | 70,00 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 0,0 | 1,08 | 0,00 | 1,08 | 0,00 | 0,00 | 0,00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 299,6 | 517,00 | 0,00 | 517,00 | 484,70 | 0,00 | 484,70 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 6,0 | 16,11 | 0,00 | 16,11 | 169,35 | 0,00 | 169,35 |
| | სულ | 8 573,8 | 10 025,78 | 1 689,76 | 8 336,02 | 12 188,21 | 1 859,05 | 10 329,16 |

### მუხლი 10. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1022,61 ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 11. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1222,92 ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 12. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება ( - 200,3) ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 13. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

### მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 162,0 ათ.ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 75.0 ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85,0 ათ. ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათ. ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

### მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

## ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

### მუხლი 16. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სათვალთვალო კამერების მონტაჟი.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რეაბილიტაცია (მოხრეშვა-მოასფალტება), დაზიანებულ მოასფალტებულ ქუჩებზე მოეწყობა შემასწორებელი ფენა ასფალტის საფარით, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას, ხიდების მოწყობა, დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია, გზაჯვარედინების მოწყობა-რეაბილიტაცია, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა, დახაზვა და გადასასვლელების მოწესრიგება. აგრეთვე ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად გზების გაწმენდა თოვლისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეაბილიტირებული გზების გაზრდილი მაჩვენებელი ხელს შეუწყობს მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

მოსალოდნელი შედეგი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: რეაბილიტირებული გზების მაჩვენებელი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების მოწყობა, მოვლა-პატრონობა, გარე-განათების სისტემების ექსპლოატაცია და არსებულის მოვლა-შენახვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება, საზოგადოებრივი საპირფარეშოების შეკეთება, მოვლა-პატრონობის ღონისძიებების, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: განათებული მუნიციპალიტეტი, გაუმჯობესებული სანიტარიული პირობები. საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა-ამხანაგობების თანადაფინანსებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი: განათებული ქუჩების გაზრდილი მაჩვენებელი;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებული მუნიციპალიტეტი, დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტესიურობის მაჩვენებელი.

ამხანაგობის მიერ დასახული პრიორიტეტების მაჩვენებელი.

**ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქალაქში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით – ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები.

**ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა, ახალი კვანძების მოწყობა და გარე-განათებაზე გახარჯული ელ.ენერგიის ხარჯების დაფინანსება.

**ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. არსებული ტექნიკის გაუმჯობესება და ბუნკერების რაოდენობის ზრდა სისუფთავის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე განხორციელდება ქალაქში არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ხევების გაწმენდა, რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

**ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით (ფანტანი „სოკო) მომარაგების უზრუნველყოფა.

**ბ.ე) ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქალაქ თელავის ტერიტორიაზე გამავალ ხევებში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა.

**ბ.ვ) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ თელავში არსებული ბუნებრივი წყლების ლაბორატორიული შემოწმება და შესაბამისი აბრების მოწყობა;

**ბ.ზ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა, მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობას, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

**გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას.

მოსალოდნელი შედეგი: კეთილმოწყობილი და უზრუნველყოფილი გარემო

შეფასების ინდიკატორი: მოვლილი და გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობა, მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაო.

**გ.ა) პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას (მ.შ. ხის ვარჯის ფორმირებას) აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების დარგვას, ყვავილნარების მოწყობა, რითაც ქალაქი უფრო გამრავალფეროვნდება და მეტ დატვირთვას მიიღებს.

**გ.ბ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება.

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგი: აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; მოწესრიგებული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი: ბავშვების რაოდენობის ზრდა;

მოწესრიგებული საბავშვო ბაღების გაზრდილი რაოდენობა.

**ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ცხრა ბაგა-ბაღი: №1 ბაგა-ბაღი, №3 ბაგა-ბაღი, №5 ბაგა-ბაღი, №8 ბაგა-ბაღი, №5 საბავშვო ბაღი, №2 ბაგა-ბაღი, №6 ბაგა-ბაღი, №7 ბაგა-ბაღი, №9 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანებაში" (დაფინანსება განისაზღვროს 1242,0 ათ.ლარით). ერთ-ერთ პრიორიტეტს ბაგა-ბაღებში წარმოადგენს აღმზრდელების გადამზადების საკითხი, აგრეთვე ბაღში ჰიგიენური პირობების მკაცრად დაცვა, რაც უპირველესია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას, აგრეთვე აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

**ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. პროგრამა მოიცავს სახელოვნებო განათლების ღონისძიებებს – სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით პერსპექტიულ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობაზე, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერასა. პედაგოგთა ხელშეწყობაზე. აღნიშნულ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურება ბავშვთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას (ხაზვის, ხატვის, სამეჯლისო ცეკვების, კულინარიის, მათემატიკის, უცხო ენის, ქართული ლიტერატურის, დიზაინის, რუსულის, სიმღერის, გიტარის, ლიტერატურული შემოქმედების, თექის, ქსოვის, გობელენის და ა.შ. ... წრე); დაფინანსება – 82,0 ათ.ლარი.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით. 2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება

მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ბავშვები და მოზარდები; ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება პერსპექტიული სპორტსმენებით; მოწესრიგებული სპორტული და დასვენების ობიექტების ინფრასტრუქტურა.

შეფასების ინდიკატორი: სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა; სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა; მუნიციპალიტეტის სპორტული მიღწევების მაჩვენებელი;

ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და მასობრივი სპორტის განვითარებას.აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება, რომლის მიზანია ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა სპორტისადმი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინიმოედნების მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციის, რეაბილიტაციის და ახლის მოწყობის ხარჯების დაფინანსება, აგრეთვე, ინფრასტრუქტურის განახლება – სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია.

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. პირველობების ჩატარება, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება. სპორტის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ინფრასტრუქტურის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების მოვლა-პატრონობა. ამჟამად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციები: ბავშვთა და მოზარდთა სპორტთამაშების სკოლა, ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალ საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია, საფეხბურთო სკოლა, ჭიდაობის სპორტული სკოლა, ჭადრაკის სახლი, სადაც ბევრი ცნობილი მოჭადრაკე აღზრდილა და დღესაც ღირსეულად ასპარეზობენ საერთაშორისო არენაზე და ა.შ., აგრეთვე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინიმოედნების მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება, აგრეთვე ინფრასტრუქტურის განვითარება. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად ფინანსდება და ფუნქციონირებს ააიპ – თელავის სასპორტო გაერთიანება – 340,9 ათ.ლარი; ააიპ – საფეხბურთო სკოლა

„კახეთი“ – 122,4 ათ.ლარი; ააიპ – სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“ – 356,5 ათ.ლარი, ააიპ – ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“ 87,0 ათ.ლარი.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებსა, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

მოსალოდნელი შედეგები: საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ესთეტიკური დონის ამაღლება, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის, ახალგაზრდების დაინტერესების ზრდა ხელოვნების დარგების მიმართ, ინტელექტუალური დონის ამაღლება, ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენა.

შეფასების ინდიკატორები: ფესტივალებსა და კონცერტებზე მონაწილე ბავშვების რაოდენობის ზრდა; ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; ღონისძიებებზე დამსწრეთა დასწრების მაჩვენებელი.

ბ.ა) ააიპ – ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამა ითვალისწინებს ბავშვებსა და მოზარდებში ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარებას და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას. აღნიშნული ორგანიზაციის აღსაზრდელები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონცერტებში (დაფინანსება – 130,0 ათ.ლარი).

ბ.ბ) სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად ფუნქციონირებს ააიპ – თელავის ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა – 78,1 ათ.ლარი; ააიპ – თელავის №1 სამუსიკო სკოლა – 90,0 ათ.ლარი; ააიპ – თელავის №2 სამუსიკო სკოლა – 82,0 ათ.ლარი.

ბ.გ) ააიპ – საბიბლიოთეკო გაერთანება (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ააიპ „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ (მ.შ. საბავშვო ბილბიოთეკა), სადაც მუდმივად მიმდინარეობს ლიტერატურის და პრესის განახლება, აღნიშნული ორგანიზაციის მეშვეობით საზოგადოებას ეძლევა საშუალება მუდმივად გაეცნოს და მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე. მკითხველთათვის ხდება საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და სამეცნიერო, საინფორმაციო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ბეჭდური, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები). ცენტრალურ ბიბლოთეკაში ფუნქციონირებს ამერიკის კუთხე, რომლის შუამდგომლობით და ხელშეწყობით მოზარდებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში

(დაფინანსება - 129,0 ათ.ლარი).

**ბ.დ) ააიპ – კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)**

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ააიპ „კულტურის ცენტრი“, რომლებიც მრავალი სხვადასხვა ადგილობრივი კულტურული ღონისძიების და ფესტივალის ხელის შემწყობი და განმახორციელებელია (მაგ.: ფესტივალი – „ქება ვაზისა“, ანიმაციური ფილმების ფესტივალი, ადგილობრივი დღესასწაული – „ერეკლეობა“, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა). ასევე ააიპ „კულტურის სახლის" დაქვემდებარებაშია სიმღერის ანსამბლი – ქალთა კაპელა „ნანინა“ და მუსიკალური ბენდი (დაფინანსება - 333,0 ათ.ლარი).

**ბ.ე) თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 01)**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება სსიპ – ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის პროფესიული დრამატული თეატრი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კულტურული ცხოვრების დამკვიდრებაში (დაფინანსება – 201,5 ათ.ლარი).

**ბ.ვ) კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“ (პროგრამული კოდი 05 02 01)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურისა და დასვენების პარკი ნადიკვარი. პარკი მოსახლეობისათვის გასართობი და დასასვენებელი ადგილია, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა ატრაქციონები, მოწყობილია დასასვენებელი კუთხეები, სასეირნო ბილიკები და საზაფხულო თეატრი. ყველა თაობის მოსახლეობას საშუალება ეძლევა გაერთოს და დაისვენოს. მუდმივად ახლდება ინფრასტრუქტურა და მუდმივად ხდება ზრუნვა კომფორტული გარემოს შექმნაზე (დაფინანსება – 30,0 ათ.ლარი).

**ბ.ზ.) კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, კულტურის სფეროში ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას, კულტურის დღეების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება, კულტურის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებები და სხვა.

**გ) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ხდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში (ლაშქრობები, ექსკურსიები, და ა.შ.) და სხვა.

**დ) ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც მწერალთა ორგანიზაციების, აგრეთვე სატელევიზიო გადაცემების ხელშეწყობა.

**ე) ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)**

პროგრამის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს კულტურული და ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაცია, მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია, თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან. ახლად აღმოჩენილ ისტორიულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიება და მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსება და სხვა.

**ვ) დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა სხვადასხვა დასასვენებელი ადგილები საბავშვო ატრაქციონებით, რომელიც ითვალისწინებს კომფორტული გასართობი და დასასვენებელი ადგილების შექმნას ჯანსაღი მომავალი თაობისთვის, აგრეთვე, ზრდასრული

ადამიანებისთვის, ჯანსაღ გარემოში, კომფორტული დასასვენებელი ადგილების შექმნა.

**5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური სფეროს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსალოდნელი შედეგები: სოციალურად დაუცველი, გაჭირვებული და პრობლემატური ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

**ა) ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)**

ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტინგენტის ხვედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და, შესაბამისად, კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე მათი აღჭურვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

**ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა ახალშობლითა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც (ახალშობილთა ოჯახების) ერთჯერად და (მრავალშვილიანი ოჯახები) ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, კვება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარების მომსახურების დაფინანსება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაფინანსებას.

მოსალოდნელი შედეგი: მრავალშვილიანი ოჯახების წახალისება. ავადმყოფთა და სოციალურად დაუცველთა ოჯახების გაუმჯობესებული პირობები, გარდაცვლილ ლტოლვილთა და ვეტერანთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება, უპატრონო მიცვალებულთა პატივმიგება და სხვა.

შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული სოციალური პირობები.

**ბ.ა) ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, (იმის მიუხედავად, არის

თუ არა ასეთი შრომისუუნარობა ნაწილობრივი თუ მთლიანი), რომელთაც ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლის გამო არ შეუძლიათ ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში, ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეული წესით, სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯებს, აგრეთვე დიალეზით დაავადებულ პირთა დახმარებას სამედიცინო პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსების სახით.

**ბ.ბ) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში შშმ პირთა მცირეწლოვან შვილებზე ყოველთვიურ ფულად დახმარებას.

**ბ.გ) სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარების და სათბობი შეშით უზრუნველყოფისათვის დახმარებას.

**ბ.დ) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ პირთა ყოველდღიურ უფასო სადილს, რაც უმარტივებს მათ ყოველდღიურ აუცილებელ საზრუნავს და შეძლებისდაგვარად ამსუბუქებს მათ სოციალურ მდგომარეობას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „უმწეოთა და უპოვართა სახლი“.

**ბ.ე) ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დაკრძალვის ხარჯების გაღებას. თითოეული გარდაცვლილის ოჯახზე 250 ლარის ოდენობით (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში). აგრეთვე, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარდაცვლილი დევნილის და უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისათვის თანხის გამოყოფა. პროგრამის მიზანია აღნიშნული ოჯახებისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის შესაბამისი პატივის მიგება.

**ბ.ვ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალშობილთა დაბადებისას ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას და აგრეთვე, მრავალშვილიანი ოჯახები, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას.

**ბ.ზ) ვეტერანთა საზოგადოება(პროგრამული კოდი 06 02 06)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამამულო და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გარკვეულ დაფინანსებას, რაც ძირითადად ხმარდება ძმათა სასაფლაოების და მემორიალების მოვლას, ექსკურსიებს და საქართველოს მასშტაბით ვეტერანთა შეკრებებში მონაწილეობის მიღებას, აგრეთვე მათთვის სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას.

**ბ.თ) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხელშეწყობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარჩენალდაკარგულთა ოჯახების, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (I ჯგუფი) და შშმ ბავშვების ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადის თანადაფინანსება.

**ბ.ი) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 09)**

ქვეპროგრამით ხორციელდება საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისათვის ერთჯერადი ფულადი სახით ან საჩუქრების გადაცემას

(მრავალშვილიანი დედები, უდედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის მონაწილეები, მარტოხელა დედები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარჩენალდაკარგული ოჯახები).

**ბ.კ) სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 10)** ქვეპროგრამით ხორციელდება გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ფენის ბენეფიციართა მედიკამენტებით და სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება. აგრეთვე,C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვისათვის საჭირო ანალიზების ხარჯის თანადაფინანსება.

## თავი III

## ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

### მუხლი17. ქალაქ თელავის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | ქ. თელავი | 8,843.0 | 10,192.14 | 1,689.76 | 8,502.37 | 12,388.52 | 1,859.05 | 10,529.47 |
| | ხარჯები | 6,383.9 | 7,504.0 | 300.0 | 7,204.0 | 8,426.44 | 0.00 | 8,426.44 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,210.9 | 1,309.4 | 0.0 | 1,309.4 | 1,464.91 | 0.00 | 1,464.91 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,189.9 | 2,521.8 | 1,389.8 | 1,132.1 | 3,761.77 | 1,859.05 | 1,902.72 |
| | ვალდებულებების კლება | 269.3 | 166.4 | 0.0 | 166.4 | 200.31 | 0.00 | 200.31 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2,031.9 | 2,207.85 | 0.0 | 2,207.8 | 2,591.86 | 0.00 | 2,591.86 |
| | ხარჯები | 1,748.5 | 1,828.1 | 0.0 | 1,828.1 | 2,135.03 | 0.00 | 2,135.03 |
| | შრომის ანაზღაურება | 901.5 | 1,239.4 | 0.0 | 1,239.4 | 1,392.71 | 0.00 | 1,392.71 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 14.1 | 213.4 | 0.0 | 213.4 | 269.37 | 0.00 | 269.37 |
| | ვალდებულებების კლება | 269.3 | 166.4 | 0.0 | 166.4 | 187.46 | 0.00 | 187.46 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 298.7 | 447.2 | 0.0 | 447.2 | 593.46 | 0.00 | 593.46 |
| | ხარჯები | 297.9 | 440.7 | 0.0 | 440.7 | 538.46 | 0.00 | 538.46 |
| | შრომის ანაზღაურება | 187.1 | 296.1 | 0.0 | 296.1 | 345.31 | 0.00 | 345.31 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.8 | 6.5 | 0.0 | 6.5 | 55.00 | 0.00 | 55.00 |
| 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 1,146.1 | 1,444.3 | 0.0 | 1,444.3 | 1,627.74 | 0.00 | 1,627.74 |
| | ხარჯები | 1,132.9 | 1,237.4 | 0.0 | 1,237.4 | 1,413.37 | 0.00 | 1,413.37 |
| | შრომის ანაზღაურება | 714.4 | 943.3 | 0.0 | 943.3 | 1,047.40 | 0.00 | 1,047.40 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 13.3 | 206.9 | 0.0 | 206.9 | 214.37 | 0.00 | 214.37 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 59.54 | 0.00 | 59.54 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 59.54 | 0.00 | 59.54 |
| 01 04 | დავალიანებების დაფარვა | 14.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 14.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 01 05 | შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები | 3.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 3.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 01 06 | წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 568.6 | 316.4 | 0.0 | 316.4 | 311.12 | 0.00 | 311.12 |
| | ხარჯები | 299.3 | 150.1 | 0.0 | 150.1 | 123.66 | 0.00 | 123.66 |
| | ვალდებულებების კლება | 269.3 | 166.4 | 0.0 | 166.4 | 187.46 | 0.00 | 187.46 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 703.3 | 662.97 | 0.0 | 663.0 | 185.00 | 0.00 | 185.00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| | ხარჯები | 703.3 | 659.9 | 0.0 | 659.9 | 82.90 | 0.00 | 82.90 |
| | შრომის ანაზღაურება | 309.5 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 72.20 | 0.00 | 72.20 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 3.1 | 0.0 | 3.1 | 102.10 | 0.00 | 102.10 |
| 02 01 | საგანგებო სიტუაციების მართვა | 644.5 | 585.6 | 0.0 | 585.6 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 644.5 | 585.6 | 0.0 | 585.6 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | შრომის ანაზღაურება | 273.8 | 4.6 | 0.0 | 4.6 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 02 02 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 58.8 | 77.4 | 0.0 | 77.4 | 85.00 | 0.00 | 85.00 |
| | ხარჯები | 58.8 | 74.2 | 0.0 | 74.2 | 82.90 | 0.00 | 82.90 |
| | შრომის ანაზღაურება | 35.7 | 65.4 | 0.0 | 65.4 | 72.20 | 0.00 | 72.20 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 3.1 | 0.0 | 3.1 | 2.10 | 0.00 | 2.10 |
| 02 03 | საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 3,218.4 | 2,635.75 | 639.7 | 1,996.1 | 4,394.07 | 1,671.38 | 2,722.69 |
| | ხარჯები | 1,103.2 | 1,378.9 | 0.0 | 1,378.9 | 1,952.31 | 0.00 | 1,952.31 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,115.2 | 1,256.8 | 639.7 | 617.2 | 2,441.76 | 1,671.38 | 770.38 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2,283.9 | 1,308.3 | 632.7 | 675.6 | 2,697.76 | 1,671.38 | 1,026.38 |
| | ხარჯები | 366.4 | 417.1 | 0.0 | 417.1 | 662.00 | 0.00 | 662.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,917.5 | 891.2 | 632.7 | 258.5 | 2,035.76 | 1,671.38 | 364.38 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 882.9 | 1,267.5 | 7.0 | 1,260.5 | 1,536.31 | 0.00 | 1,536.31 |
| | ხარჯები | 685.2 | 910.3 | 0.0 | 910.3 | 1,170.31 | 0.00 | 1,170.31 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 197.7 | 357.2 | 7.0 | 350.2 | 366.00 | 0.00 | 366.00 |
| 03 02 01 | ბინათმშენებლობის ღონისძიებები | 33.5 | 88.0 | 0.0 | 88.0 | 148.26 | 0.00 | 148.26 |
| | ხარჯები | 33.5 | 88.0 | 0.0 | 88.0 | 148.26 | 0.00 | 148.26 |
| 03 02 02 | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 324.1 | 385.9 | 0.0 | 385.9 | 498.35 | 0.00 | 498.35 |
| | ხარჯები | 261.7 | 320.5 | 0.0 | 320.5 | 398.35 | 0.00 | 398.35 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 62.4 | 65.5 | 0.0 | 65.5 | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| 03 02 03 | გარემოს დაცვითი ღონისძიებები | 525.2 | 717.7 | 7.0 | 710.7 | 717.12 | 0.00 | 717.12 |
| | ხარჯები | 389.9 | 496.8 | 0.0 | 496.8 | 567.12 | 0.00 | 567.12 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 135.3 | 220.9 | 7.0 | 213.9 | 150.00 | 0.00 | 150.00 |
| 03 02 04 | სასმელი წყლის „სოკო“ | 0.0 | 3.6 | 0.0 | 3.6 | 5.59 | 0.00 | 5.59 |
| | ხარჯები | 0.0 | 3.6 | 0.0 | 3.6 | 5.59 | 0.00 | 5.59 |
| 03 02 05 | ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 0.0 | 64.7 | 0.0 | 64.7 | 130.00 | 0.00 | 130.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 20.00 | 0.00 | 20.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 64.7 | 0.0 | 64.7 | 110.00 | 0.00 | 110.00 |
| 03 02 06 | წყალმომარაგების ღონისძიებები | 0.0 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.00 | 0.00 | 6.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 6.00 | 0.00 | 6.00 |
| | | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 02 07 | ქალაქის იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები | 0.0 | 6.2 | 0.0 | 6.2 | 4.99 | 0.00 | 4.99 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 4.99 | 0.00 | 4.99 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 6.2 | 0.0 | 6.2 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 03 02 08 | საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 26.00 | 0.00 | 26.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 20.00 | 0.00 | 20.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 6.00 | 0.00 | 6.00 |
| 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 160.00 | 0.00 | 160.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 120.00 | 0.00 | 120.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 40.00 | 0.00 | 40.00 |
| 03 03 01 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები | 5.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 5.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 03 03 02 | პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები | 45.8 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| | ხარჯები | 45.8 | 51.5 | 0.0 | 51.5 | 60.00 | 0.00 | 60.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 8.5 | 0.0 | 8.5 | 40.00 | 0.00 | 40.00 |
| 03 03 03 | სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 60.00 | 0.00 | 60.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 60.00 | 0.00 | 60.00 |
| 04 00 | განათლება | 1,085.3 | 1,877.57 | 750.1 | 1,127.5 | 1,840.58 | 187.68 | 1,652.90 |
| | ხარჯები | 1,043.5 | 1,071.4 | 0.0 | 1,071.4 | 1,344.00 | 0.00 | 1,344.00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 41.8 | 806.2 | 750.1 | 56.0 | 496.58 | 187.68 | 308.90 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 1,015.3 | 1,807.6 | 750.1 | 1,057.5 | 1,758.58 | 187.68 | 1,570.90 |
| | ხარჯები | 973.5 | 1,001.4 | 0.0 | 1,001.4 | 1,262.00 | 0.00 | 1,262.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 41.8 | 806.2 | 750.1 | 56.0 | 496.58 | 187.68 | 308.90 |
| 04 01 01 | ა(ა)იპ – თვითმმართველი ქალაქი თელავის ბაგა-ბაღების გაერთიანება | 1,015.3 | 996.8 | 0.0 | 996.8 | 1,242.00 | 0.00 | 1,242.00 |
| | ხარჯები | 973.5 | 995.3 | 0.0 | 995.3 | 1,242.00 | 0.00 | 1,242.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 41.8 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 04 01 02 | სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები | 0.0 | 810.7 | 750.1 | 60.6 | 516.58 | 187.68 | 328.90 |
| | ხარჯები | 0.0 | 6.1 | 0.0 | 6.1 | 20.00 | 0.00 | 20.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 804.6 | 750.1 | 54.5 | 496.58 | 187.68 | 308.90 |
| 04 02 | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 70.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 82.00 | 0.00 | 82.00 |
| | ხარჯები | 70.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 82.00 | 0.00 | 82.00 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 1,361.7 | 2,130.94 | 300.0 | 1,830.9 | 2,499.32 | 0.00 | 2,499.32 |
| | ხარჯები | 1,343.0 | 1,903.4 | 300.0 | 1,603.4 | 2,092.35 | 0.00 | 2,092.35 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 18.8 | 227.5 | 0.0 | 227.5 | 406.97 | 0.00 | 406.97 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 418.3 | 794.7 | 0.0 | 794.7 | 1,173.58 | 0.00 | 1,173.58 |
| | ხარჯები | 412.3 | 594.4 | 0.0 | 594.4 | 908.21 | 0.00 | 908.21 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6.0 | 200.4 | 0.0 | 200.4 | 265.37 | 0.00 | 265.37 |
| 05 01 | სპორტის განვითარების | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 | ხელშეწყობის ღონისძიებები | 0.0 | 207.5 | 0.0 | 207.5 | 266.82 | 0.00 | 266.82 |
| | ხარჯები | 0.0 | 32.3 | 0.0 | 32.3 | 52.87 | 0.00 | 52.87 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 175.2 | 0.0 | 175.2 | 213.95 | 0.00 | 213.95 |
| 05 01 02 | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 418.3 | 587.3 | 0.0 | 587.3 | 906.76 | 0.00 | 906.76 |
| | ხარჯები | 412.3 | 562.1 | 0.0 | 562.1 | 855.34 | 0.00 | 855.34 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6.0 | 25.2 | 0.0 | 25.2 | 51.42 | 0.00 | 51.42 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 892.1 | 1,240.4 | 300.0 | 940.4 | 1,142.22 | 0.00 | 1,142.22 |
| | ხარჯები | 879.3 | 1,214.2 | 300.0 | 914.2 | 1,080.43 | 0.00 | 1,080.43 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12.8 | 26.2 | 0.0 | 26.2 | 61.79 | 0.00 | 61.79 |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 892.1 | 1,222.2 | 300.0 | 922.2 | 1,073.62 | 0.00 | 1,073.62 |
| | ხარჯები | 879.3 | 1,195.9 | 300.0 | 895.9 | 1,056.33 | 0.00 | 1,056.33 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 12.8 | 26.2 | 0.0 | 26.2 | 17.29 | 0.00 | 17.29 |
| 05 02 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები | 0.0 | 18.2 | 0.0 | 18.2 | 68.60 | 0.00 | 68.60 |
| | ხარჯები | 0.0 | 18.2 | 0.0 | 18.2 | 24.10 | 0.00 | 24.10 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 44.50 | 0.00 | 44.50 |
| 05 03 | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ღონისძიებების ხელშეწყობა | 30.6 | 38.1 | 0.0 | 38.1 | 28.72 | 0.00 | 28.72 |
| | ხარჯები | 30.6 | 37.2 | 0.0 | 37.2 | 28.72 | 0.00 | 28.72 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.9 | 0.0 | 0.9 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 04 | ტელერადიო-მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 16.0 | 35.8 | 0.0 | 35.8 | 19.50 | 0.00 | 19.50 |
| | ხარჯები | 16.0 | 35.8 | 0.0 | 35.8 | 19.50 | 0.00 | 19.50 |
| 05 05 | ძეგლთა დაცვის ღონისძიებები | 4.7 | 21.9 | 0.0 | 21.9 | 105.31 | 0.00 | 105.31 |
| | ხარჯები | 4.7 | 21.9 | 0.0 | 21.9 | 55.50 | 0.00 | 55.50 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 49.81 | 0.00 | 49.81 |
| 05 06 | დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 30.00 | 0.00 | 30.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 30.00 | 0.00 | 30.00 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 442.5 | 677.06 | 0.0 | 677.1 | 877.70 | 0.00 | 877.70 |
| | ხარჯები | 442.5 | 662.2 | 0.0 | 662.2 | 819.85 | 0.00 | 819.85 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 45.00 | 0.00 | 45.00 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 12.85 | 0.00 | 12.85 |
| 06 01 | ჯანდაცვის პროგრამები | 80.0 | 94.7 | 0.0 | 94.7 | 130.00 | 0.00 | 130.00 |
| | ხარჯები | 80.0 | 79.9 | 0.0 | 79.9 | 85.00 | 0.00 | 85.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 45.00 | 0.00 | 45.00 |
| 06 01 01 | ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა | 80.0 | 79.9 | 0.0 | 79.9 | 85.00 | 0.00 | 85.00 |
| | ხარჯები | 80.0 | 79.9 | 0.0 | 79.9 | 85.00 | 0.00 | 85.00 |
| 06 01 02 | ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები | 0.0 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 45.00 | 0.00 | 45.00 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 14.8 | 0.0 | 14.8 | 45.00 | 0.00 | 45.00 |
| 06 02 | სოციალური | 362.5 | 582.4 | 0.0 | 582.4 | 747.70 | 0.00 | 747.70 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროგრამები | | | | | | | |
| | ხარჯები | 362.5 | 582.4 | 0.0 | 582.4 | 734.85 | 0.00 | 734.85 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 12.85 | 0.00 | 12.85 |
| 06 02 01 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0.0 | 15.1 | 0.0 | 15.1 | 6.00 | 0.00 | 6.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 15.1 | 0.0 | 15.1 | 6.00 | 0.00 | 6.00 |
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 120.8 | 320.6 | 0.0 | 320.6 | 279.50 | 0.00 | 279.50 |
| | ხარჯები | 120.8 | 320.6 | 0.0 | 320.6 | 279.50 | 0.00 | 279.50 |
| 06 02 03 | უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება | 180.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 | 210.00 | 0.00 | 210.00 |
| | ხარჯები | 180.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 | 210.00 | 0.00 | 210.00 |
| 06 02 04 | ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები | 2.0 | 0.8 | 0.0 | 0.8 | 5.00 | 0.00 | 5.00 |
| | ხარჯები | 2.0 | 0.8 | 0.0 | 0.8 | 5.00 | 0.00 | 5.00 |
| 06 02 05 | ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა | 55.7 | 29.5 | 0.0 | 29.5 | 70.00 | 0.00 | 70.00 |
| | ხარჯები | 55.7 | 29.5 | 0.0 | 29.5 | 70.00 | 0.00 | 70.00 |
| 06 02 06 | ვეტერანთა საზოგადოება | 4.0 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 4.00 | 0.00 | 4.00 |
| | ხარჯები | 4.0 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 4.00 | 0.00 | 4.00 |
| 06 02 07 | მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ხელშეწყობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების პროგრამა | 0.0 | 8.7 | 0.0 | 8.7 | 33.00 | 0.00 | 33.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 8.7 | 0.0 | 8.7 | 33.00 | 0.00 | 33.00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 08 | დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები | 0.0 | 1.1 | 0.0 | 1.1 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | ხარჯები | 0.0 | 1.1 | 0.0 | 1.1 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 06 02 09 | სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული ღონისძიებები | 0.0 | 0.7 | 0.0 | 0.7 | 32.85 | 0.00 | 32.85 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.7 | 0.0 | 0.7 | 20.00 | 0.00 | 20.00 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 12.85 | 0.00 | 12.85 |
| 06 02 10 | სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 107.35 | 0.00 | 107.35 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 107.35 | 0.00 | 107.35 |

მუხლი 2
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილ თხლაშიძე